

მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმების დაფინანსების საგრანტო კონკურსის პირობები

აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო „აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში აცხადებს აჭარის რეგიონში მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმების წარმოების დაფინანსების საგრანტო კონკურსს.

ერთ კინოწარმოებელზე გაიცემა - არაუმეტეს - 15 000 ლარი.

საკონკურსო ფონდი შეადგენს - 15 000 ლარს.

კონკურსში მონაწილეობის პირობები:

დაფინანსების მოთხოვნის უფლება აქვს:

- კინოპროექტს, რომელსაც მოპოვებული აქვს ალტერნატიული დაფინანსება - ფილმის სრული ბიუჯეტის არანაკლებ 50%.

- საქართველოში დარეგისტრირებულ იურიდიულ პირს.

- სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან კო-პროდუქციის (თანამშრომლობის) შემთხვევაში, განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართველი კო-პროდიუსერის ან საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის მიერ.

ინფორმაცია აჭარაში კინოწარმოებისას გასაწევი დანახრჯის შესახებ, რომელსაც სამინისტრო დააფინანსებს:

რეგიონში ქირავნობა;

მომსახურების შესყიდვა რეგიონში;

კინოწარმოების პროცესში დასაქმებულთა ანაზღაურება - უნდა იყოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული პირი ან/და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი. კინოწარმოების პროცესში დასაქმებულთა ანაზღაურების ხარჯების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამინისტროდან მოთხოვნილი თანხის 40 %-ს.

საჭირო დოკუმენტაცია :

1. განცხადება კომისიის სახელზე;
2. აპლიკაცია (სამინისტროს მიერ შემუშავებული ფორმით);
3. ფილმის ავტორთა (რეჟისორი, სცენარის ავტორი) ბიოფილმოგრაფია და კოორდინატები, პირადობის მოწმობის ასლები.
4. პროდიუსერის მოტივაცია;
5. რეჟისორის ხედვა ;
6. ფილმის მოკლე სინოფსისი;
7. თრითმენტი;
8. ფილმის სცენარი;
9. ფილმის სრული ბიუჯეტი;
10. სამინისტროდან მოთხოვნილი თანხის ბიუჯეტი (სამინისტროს მიერ შემუშავებული ფორმით);
11. აჭარის რეგიონში გასაწევი დამატებითი ხარჯების ბიუჯეტი (არსებობის შემთხვევაში);
12. დაფინანსების მოპოვების გრაფიკი ;
13. საწარმოო გეგმა ;
14. აჭარის ტერიტორიაზე დაგეგმილი გადაღებების კალენდარული გრაფიკი;
15. თანაპროდიუსერ(ებ)თან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ორიგინალები, ან ასლები ნოტარიულად დამტკიცებული);
16. ინფორმაცია იურიდიული პირის საქმიანობის შესახებ;
17. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (განახლებული);
18. ფილმის წარმოებისთვის საჭირო/მოპოვებული ალტერნატიული თანხის დამადასტურებელი ინფორმაცია (ხელშეკრულებები ან/და სხვა დოკუმენტები).

საჭიროების შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრო უფლებას იტოვებს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

წარმოსადგენი დოკუმენტაციის რაოდენობა :

დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას სამინისტროს კანცელარიაში 3 ეგზემპლარად (1 ორიგინალი და 2 ასლი) და ელექტრონული ვერსიის სახით (CD-ზე ჩაწერილი PDF ფორმატით); განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს განმცხადებელი კომპანიის წარმომადგენელი უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით (არსებობის შემთხვევაში).

ვადები:

პროექტების შემოტანის ან კონკურსის ვადებია 2018 წლის 20 სექტემბრიდან - 3 ოქტომბრის ჩათვლით.

პროექტებს რომლებსაც დაუდგინდებათ ხარვეზები, საშუალება ექნებათ ხარვეზების დადგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინონ შესწორებული დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში პროექტი არ იქნება განხილული კომისიის მიერ.

შემოსულ პროექტებს საკონკურსო კომისია განიხილავს ერთობლივად. კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვებ-გვერდზე ([www.adjara.gov.ge](http://www.adjara.gov.ge) / [www.moecs.ge](http://www.moecs.ge)), შესწორებული დოკუმენტაციის მიღების ვადის ამოწურვიდან 10 დღის ვადაში.

შეზღუდვები

კონკურსში მონაწილე პროდიუსერს მხოლოდ ერთი პროექტის წარდგენის უფლება აქვს.

სამინისტროსგან მოთხოვნილი თანხა სრულად უნდა დაიხარჯოს აჭარის რეგიონში 2018 წლის არაუგვიანეს 15 დეკემბრამდე პერიოდში (რაც არ გულისხმობს ფილმის დასრულებული სახით წარმოდგენას), კერძოდ, ქირავნობა, მომსახურეობა ან/და საქონელის შესყიდვა მიღებული უნდა იქნას აჭარაში რეგისტრირებული ორგანიზაცი(ებ)ის ან მოქალაქ(ებ)ისგან. (გამონაკლისი: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები).

კონკურსში პროექტის წარმოდგენა ეკრძალებათ კომისიის წევრებს, თუ იგი არის ფილმის პროექტის პროდიუსერი ან/და რეჟისორი.

ალტერნატიული დაფინანსება :

ალტერნატიულ დაფინანსებად ჩაითვლება საპროდიუსერო კომპანიის ტექნიკური შენატანი.

ალტერნატიული დაფინანსებად არ განიხილება ფილმის ავტორთა საჰონორარო შენატანი (ე.წ. დეფერმენტი).

სტუდენტების ჩართულობა :

გამარჯვებულ(ებ)მა სამინისტროსთან შეთანხმების შემთხვევაში უნდა უზრუნველყონ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების წარმოების პროცესში ჩართულობა. სტუდენტების ჰონორარი, საჭიროების შემთხვევაში მათი განთავსებისა და კვების თანხები გათვალისწინებული უნდა იყოს ბიუჯეტში.

შეფასების კრიტერიუმები :

კინოპროექტები შეფასდება შემდეგი კომპონენტების მიხედვით : სცენარი, რეჟისორის ხედვა, პროდიუსერის მოტივაცია, აჭარის რეგიონში დასახარჯი თანხის რაოდენობა ( სამინისტროსგან მოთხოვნილი თანხის გარდა), აჭარის რეგიონში წარმოების ხანგრძლივობა (გადაღება დღეების რაოდენობა), აჭარის რეგიონში დასაქმებული ფიზიკური/იურიდიული პირების რაოდენობა, ფინანსური გეგმა( რამდენად რეალისტურია პროექტის განხორციელება მოპოვებული ფინანსური რესურსების თვალსაზრისით), რეგიონის პოპულარიზაციის ხელშეწყობა/საერთაშორისო პროექტები(ცო-პროდუქცია).

საჭიროების შემთხვევაში, კომისია უფლებას იტოვებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მოითხოვოს გასაუბრება პროექტების ავტორებთან და პროექტის პრეზენტაცია.

შენიშვნა : გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია წინასწარი კონსულტაცია.

# აპლიკაციის ფორმა

პროექტი		
სახელწოდება		
რევისორი		
სცენარის ავტორი		
მწარმოებელი ქვეყანა(ქვეყნები)		
მწარმოებელი კომპანია(ები)		
თანამწარმოებელი კომპანიები		
ფილმის სრული ბიუჯეტი		
მოპოვებული ალტერნატიური დაფინანსების რაოდენობა	ლარი	% (სრული ბიუჯეტის)
რეგიონში დასახარჯი თანხის რაოდენობა		
სამინისტროსგან მოთხოვნილი თანხა		
რეგიონში დამატებით დასახარჯი თანხა		
სულ რეგიონში დასახარჯი თანხა		
რეგიონში დასაქმებული პირების რაოდენობა (არანაკლებ)		
იურიდიული		
ფიზიკური		
პროექტის აღწერა		
<input type="checkbox"/> მოკლემეტრაჟიანი მხატვრული		
ენა:	<input type="checkbox"/> ფერადი	<input type="checkbox"/> შშთ
		ქრონომეტრაჟი:

გადაღება რეგიონში	
რეგიონში გადაღების პერიოდი : ----- დღე	რეგიონში გადაღების დღეთა რაოდენობა: არანაკლებ -----
დამატებითი ინფორმაცია	
ადგილმდებარეობა	ხანგრძლივობა (დღე)
ქალაქი, დაბა, დასახლებული პუნქტი: ( )	<input type="checkbox"/> ექსტერიერი: <input type="checkbox"/> ინტერიერი:
ქალაქი, დაბა, დასახლებული პუნქტი: ( )	<input type="checkbox"/> ექსტერიერი: <input type="checkbox"/> ინტერიერი:
ქალაქი, დაბა, დასახლებული პუნქტი: ( )	<input type="checkbox"/> ექსტერიერი: <input type="checkbox"/> ინტერიერი:

შევისების თარიღი	ხელმოწერა, ბეჭედი
------------------	-------------------

	პროდიუსერი	კო-პროდიუსერი	კო-პროდიუსერი	კო-პროდიუსერი
კომპანიის სახელი მისამართი საფოსტო ინდექსი ქალაქი ქვეყანა ტელ ფაქსი ელ-ფოსტა ვებ-გვერდი				
კომპანიის წარმომადგენლის სახელი, გვარი პოზიცია კომპანიაში ტელ ფაქსი მობილური ელ-ფოსტა*				

აჭარის რეგიონში წარმოების (გადაღების) ბიუჯეტი <u>(სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა)</u>		შენიშვნა : * ხარჯი წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით		
ბიუჯეტი გათვლილია (?) დღეზე		** დაფინანსების მისაღებად კონკრეტულად სამინისტროს უნდა წარუდგინოს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად		
პროექტის/ფილიმის სახელწოდება		*** წარმოდგენილი ხარჯდარიტების წინასწარ განსაზღვრულ პუნქტებს შორის შესაძლებელია ღირებულების ცვლილება არაუმეტეს 5%-ის ოდენობით.		
№	ხარჯების კატეგორია	ეროვნული ფასი	რაოდენობა	მთლიანი ფასი
1	რეგიონში ქირავნობა და მომსახურების შესყიდვა რეგიონში (რეგიონში ქირავნობა, მათ შორის: სხვადასხვა დანიშნულების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის, გარდერობის, რეკვიზიტის, აპარატურის, დეკორაციების და ა.შ. ქირავნობა ან/და დამზადება რეგიონში კვება რეგიონის ტერიტორიაზე ცხოვრების ხარჯები - სასტუმროს, უმრავლესობის ქირა, ტრანსპორტირების და წარმოებასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების შესყიდვის ხარჯი)			
1.1				
1.2				
1.3				
1.4				
1.5				
1.6				
1.7				
1.8				
1.9				
1.1				
1.11				
1.12				
1.13				
1.14				
1.15				
1.16				
1.17				
2	კონსტრუქციის პროექტში დასაქმებული ანაზღაურება ( უნდა იყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში რეგისტრირებული პირი დაქირავებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი. კონსტრუქციის პროექტში დასაქმებული ანაზღაურების ხარჯების უმაღლესი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამინისტროდან მოთხოვნილი თანხის 40 %-ს.)			
2.1				
2.2				
2.3				
2.4				
2.5				
3				
სულ წარმოებაზე				
მთავარი პროდუსერი		სახელი, გვარი	ხელმოწერა, ბეჭედი	

აკარის რეგიონში წარმოების (გადაღების) ბიუჯეტი (რეგიონში დამატებით დასახარჯი თანხის ბიუჯეტი)		შენიშვნა: * ხარჯი წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩაივლით		
ბიუჯეტი გათვლილია (?) დღეზე				
პროექტის/ფილის სახელწოდება				
№	ხარჯების კატეგორია	ერთეულის ფასი	რაოდენობა	მთლიანი ფასი
1	რეგიონში ქირაგნობა და მომსახურების შესყიდვა რეგიონში (რეგიონში ქირაგნობა, მათ შორის: სხვადასხვა დანიშნულების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის, გარდერობის, რეკვიზიტის, აპარატურის, დეკორაციების და ა.შ. ქირაგნობა ან/და დამზადება რეგიონში, კვება რეგიონის ტერიტორიაზე, ცხოველების ხარჯები - სასტუმროს, უძრავი ქონების ქირა, ტრანსპორტირების და წარმოებასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების შესყიდვის ხარჯი)			
1,1				
1,2				
1,3				
1,4				
1,5				
1,6				
1,7				
1,8				
1,9				
1,1				
1,11				
1,12				
1,13				
1,14				
1,15				
1,16				
1,17				
2	კანონმდებლის პრივილეგიის დამატებითი ანაზღაურება (აკარის ადგილობრივი რესპუბლიკის რეგისტრირებული პირი დაქვინებული საქმიანობის კანონმდებლობის შესაბამისად ან/და აკარის ადგილობრივი რესპუბლიკის მიხედვით უმაღლესი საკანონმდებლო დონეზე უმაღლესი ხარისხის სერვისები)			
2,1				
2,2				
2,3				
2,4				
2,5				
3	სხვა ხარჯები			
3,1				
3,2				
3,3				
სულ წარმოებაზე				
მთავარი პროდუქტები		სახელი, გვარი		ხელმოწერა, ზეკედი
რეგიონში დასახარჯი დამატებით ხარჯი არ შედის საპროდუქტო კომპანიის ტექნიკური შენატანი;				